ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

31 (9971) • 30 agvisto • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთი პრეზიდენტის შესახვედრად ემზადება

გაზეთი „ალიონი“

როგორც გავრცელდა ინფორმაცია, პირველ სექტემბერს ოზურგეთში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა. იგი ზვიად გამსახურდიას მოედანზე განახლებულ საცხოვრებელ კორპუსს და რეკონსტრუირებულ „ჭადრების ბაღს“გახსნის. შემდეგ კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს დაასახელებს. ამ დღეს მოხდება ნაციონალების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის პრეზენტაცია.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადება და სოფლებიდან ხალხის მასიურ ჩამოყვანს გეგმავს, სავარაუდოდ თითოეული სოფლიდან საშუალოდ 200-დან 300 კაცამდე.

„ნაციონალურ მოძრაობას“ დღემდე არ დაუსახელებია მაჟორიტარი დეპუტატობის ოზურგეთელი კანდიდატი, თუმცა ყველა ვარაუდობს, რომ იგი საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი იქნება.

ამჟამად მშენებლები დღე და ღამ მუშაობენ, რათა დროულად დაასრულონ ზვიად გამსახურდიას მოედანზე მიმდინარე სამუშაოები.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ჯერ-ჯერობით აქტიურ ფაზაში არაა შესული, პირველი ინცინდენტი უკვე მოხდა ზემო ნატანების საარჩევნო უბანში. კომისიის პირველ სხდომაზე საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ კოალიცია „ქართული ოცნების“წარმომადგენელი ნინო თავაძე აირჩიეს, თუმცა შემდეგ ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიამ კრების ოქმი სათანადო „მოტივაციით“ ბათილად ცნო და საარჩევნო უბანს ზემო ნატანების სკოლის დირექტორი ლაშა ბოლქვაძე ჩაუდგა სათავეში...უნდა აღინიშნოს, რომ „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა მარინა ჭიღლაძემ (ვინც შეადგინა შემდგომში „სადაო“ ოქმი) არჩევნების პირველ დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“წარმომადგენელს მისცა ხმა, ხოლო მეორე დღეს —სამთავრობო კანდიდატს. თავად კი ორთავე დღეს კომისიის მდივნად აირჩიეს.

* * *

ლონდონის ოლიმპიადა კარგა ხანია დასრულდა, მაგრამ ინგლისში დარჩენილი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციის წევრის, ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის აწ უკვე ყოფილი დირექტორის, ბიძინა გობრონიძის თემა აქტიურია. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის მიერ მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღება ჯერ-ჯერობით ამოუხსნელი რჩება. მით უმეტეს, ლონდონში გამგზავრების წინ იგი, სხვა ოზურგეთლებთან ერთად ღირსების ორდენით დააჯილდოეს.

თუ რამ გადააწყვეტინა მას ინგლისში დარჩენა, „ქართული ოცნების“სიმპატიებმა თუ უბრალოდ, უკეთესი ცხოვრების სურვილმა, ამაზე პასუხი თავად ბიძინა გობრონიძემ უნდა გასცეს.

ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორად გელა შაფაქიძე დაინიშნა.

სპეცოპერაცია საქართველო-დაღესტნის საზღვართან

გუშინ, დილით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ოფიციალურ ვებ გვერდზე შემდეგი შინაარსის განცხადება გაავრცელა:

„საქართველო-რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია.“

დღის განმავლობაში სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმა რამდენიმე მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნეს.

„რუსთავი 2“-ის ინფორმაციით (12 სთ.20 წთ.) სოფელ ლაფანყურში მიმდინარე სპეცოპერაცია მძევალთა განთავისუფლებას უკავშირდებოდა.

„რამდენიმე დღის წინ დაკარგული 5 პიროვნების შესახებ გუშინ გახდა ცნობილი. დღეს ირკვევა, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის მონაკვეთზე, სავარაუდოდ დაღესტნიდან გადმოვიდა დივერსანტთა ჯგუფი, რომელმაც ამ ხუთი პირის გარდა, მძევალთა კიდევ 2 ჯგუფი აიყვანა.

ამ ტერიტორიაზე მთელი ღამე მიმდინარეობდა ინტენსიური ბრძოლა. შსს ძალების მიერ კიდევ ერთი ჯგუფის გათავისუფლება გახდა შესაძლებელი“...

დღის მეორე ნახევარში შსს გაავრცელა ინფორმაცია, რომ, ლიკვიდირებულია დივერსანტთა დაჯგუფების 11 წევრი, ალყაშია 6 დივერსანტი.

შსს სამინისტროს მიერ განხორციელებული დევნის ოპერაციის დროს დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი და დაიჭრა 5.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს“.

------------------უფასო პოლიტიკური რეკლამა

„ხელისუფლებამ ხალხი დაივიწყა“

მარი კოძოევი

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარის დავით გამყრელიძის თქმით, — „ახალი მემარჯვენეების მთავარი მიზანია „შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად“. ეს განცხადება გამყრელიძემ ოზურგეთში, ზვანის ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე გამართულ შეხვედრაზე გააკეთა და ადგილობრივ მოსახლეობას პარტიის საარჩევნო პროგრამა წარუდგინა.

მან ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე ისაუბრა „ოზურგეთში 62 მსხვილი საწარმო მუშაობდა ახლა არცერთი აღარ ფუნქციონირებს. მსგავსი სიტუაციაა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამიტომ სურსათის 90% რომელსაც ჩვენ მოვიხმართ არის იმპორტირებული, ეს უნდა შეიცვალოს. ჩვენ შევქმნით ისეთ გარემოს, სადაც ოჯახებს ყოველთვიური შემოსავალი მინიმუმ 1000 ლარის ოდენობით ექნებათ“- განაცხადა გამყრელიძემ.

„ხელისუფლებამ ხალხი დაივიწყა. მოდით ახლა ხალხმა დაივიწყოს ხელისუფლება,“—მიმართა ადგილობრივებს მემარჯვენეების ლიდერმა.

ჩემო ოზურგეთლებო!

წმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყნის შვილები ვართ ყველანი. თითოეულ თქვენთაგანს ვულოცავ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მისი მადლი და ძალა გადმოსულიყოს თქვენს ოჯახებზე. რწმენაში გაძლიერებას და წმინდა მარიამის მფარველობას გისურვებთ.

უღრმესი პატივისცემით და დიდი სიყვარულით,

ალეკო მამეშვილი

ოზურგეთის მინიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

სარეგისტრაციო ვადების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტებს შეახსენებს, რომ პარტიული სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების, აგრეთვე თანდართული დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის ვადა იწურება 2012 წლის 1 სექტემბერს.

პროცედურულ ვადებთან დაკავშირებული გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტებს მიმართავს თხოვნით, — ყურადღებით მოეკიდონ აღნიშნულ საკითხს და დროულად დაიჭირონ თადარიგი ყველა საჭირო განაცხადისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +18+23	წვიმა +18+22	ძლიერი წვიმა +18+23	წვიმა +18+25	წვიმა +20+26	მზე, ღრუბელი 20+25	მზე, ღრუბელი +21+26
30 აგვისტო ხუთშაბათი	31 აგვისტო პარასკევი	1 სექტემბერი შაბათი	2 სექტემბერი კვირა	3 სექტემბერი ორშაბათი	4 სექტემბერი სამშაბათი	5 სექტემბერი ოთხშაბათი

„ბახმაროობა“ სცენარს მიღმა

ნუგზარ ასათიანი



წელს, კურორტ ბახმაროში, უფლის ფერიცვალების დღესასწაულისათვის განსაკუთრებით ემზადებოდნენ. მართალია, მთის ამ უნიკალურ კურორტზე „სასწაულს“ ცოტა თუ ელოდა, მაგრამ მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა კურორტის ერთი ნაწილის კეთილმოწყობისათვის. კერძოდ, მთა „გადრეკილის“ ქვემოთ, ვრცელ ფერდობზე, რომელსაც „მდიდრების უბანსაც“ უწოდებენ, ბოლოს და ბოლოს დასრულდა გასული საუკუნის 90-იან წლებში არქიტექტორ მერაბ ჩხენკელის პროექტით, საგზაო დეპარტამენტის მიერ აგებული სასტუმროს შენობის კეთილმოწყობის სამუშაოები და იგი მომავალში 30 ნომრით კურორტზე დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება. მშენებლებმა ძალიან მოკლე დროში 100 ადგილიანი კინოთეატრის და რესტორნის ძირითადისამუშაოები დაასრულეს. ააგეს 3 კოტეჯი, სადაც ამბულატორია, აფთიაქი და მარკეტი განთავსდება. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ნაბეღლავი-ბახმაროს გზის მონაკვეთზე.

უფლის ფერიცვალების დღესასწაული ბახმაროს ეკლესიაში საზეიმო წირვა-ლოცვით დაიწყო, რომელიც ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მეუფე იოსებმა აღავლინა.

დღესასწაულის წინა საღამოს პოლიციელების კონცენტრაცია შეინიშნებოდა კურორტზე. ღამით ყვითელი ავტობუსებით ამოიყვანეს ასეულობით პოლიციელი. ღამით ამოვიდნენ კურორტზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პირველი ლედი სანდრა რულოვსი. იმავე ღამით მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდა აქტივისტებს შეხვდა.

დილით ძალიან ბევრი პოლიციელი იყო კურორტის შესასვლელში. ისინი სადღესასწაულო ადგილისაკენ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიკროავტობუსებს ატარებდნენ.

– რა გვედღესასწაულება, ჩვენს საკუთრებას გვართმევენ – არაერთი ასეთი რეპლიკა მოვისმინეთ. საქმე ის არის, იმათ, ვისაც კურორტზე საკუთრება გააჩნიათ, კარგა ხანია რეგისტრაცია შეუჩერეს.

დაახლოებით, 12 საათზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, სადაც ადრე პოლიციის საგუშაგო იყო, პოლიცია კოალიცია „ქართული ოცნების“ მიკროავტობუსებს არ ატარებსო.

ამ დროისათვის არაერთი პოლიციის ავტომანქანა დაიძრა დასახლებული ადგილისაკენ. ვინაიდან ტაქსის მძღოლებმა უარი გვითხრეს გადაყვანაზე, გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტები პიკეტის ადგილისაკენ წავედით. ძლიერი ნისლი იყო, ამიტომ ხედვა ჭირდა. გზის გასწრივ, მაღლობზე, ტყეში, ყოველ 30 მეტრში შავფორმიანი პოლიციელი იდგა. დაახლოებით 30 წუთში მივედით პიკეტის ადგილზე, საიდანაც გადაადგილების უფლება აღარ მოგვცეს, მაშინ, როდესაც ცენტრალური მედიასაშუალებების წარმომადგენლები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. ზუსტად ამ დროს დაემატა პიკეტს დიდი ავტობუსიდან ჩამოსული რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული 50-მდე შავფორმიანი. ძლიერ ნისლში, შემოვლითი გზით მოვახერხეთ „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან მისვლა. სადაც 30-მდე ახალგაზრდა თუ იყო. როგორც ამ კოალიციის ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თემურ ჩხაიძემ გვითხრა, ლანჩხუთიდან და ჩოხატაურიდან ოცნების მაისურით სულ სამოცდაათამდე ახალგაზრდა მიდიოდა „ბახმაროობაზე“, მაგრამ მათ პოლიცია გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა.

იმ დროს, როდესაც ჩვენ პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდით, შავფორმიანების ჯგუფმა ყველა ალყაში მოგვაქცია და გაიცა ბრძანება, რომ ყველანი მიკროავტობუსებში ჩამსხდარიყვნენ და ჩოხატაურში დაბრუნებულიყვნენ.

მხოლოდ ჩვენი პროტესტის შემდეგ ჟურნალისტები, გზისპირას გაგვაცალკევეს და გადაადგილების უფლება არ მოგვცეს. ასე ვიდექით დაახლოებით ერთი საათი. კვლავ ჩვენი პროტესტის შემდეგ გვითხრეს, რომ ბრძანების მიღებისთანავე გაგვიშვებდნენ. მათი საუბრის კილოთი მივხვდით, ისინი სამეგრელო-ზემო-სვანეთის მთავარი სამმართველოდან იყვნენ.

– გაატარეთ, სიაში არ არის – რამდენჯერმე გავიგონეთ, როდესაც ბარიდან ამომავალი მსუბუქი ავტომანქანა პოლიციელთა პიკეტს მიადგა. ნებართვის მიღების შემდეგ მათ პოლიციის გრძელი პიკეტი უნდა გაევლოთ.

მას შემდეგ, რაც გადაადგილების უფლება მოგცეს, კურორტის ტერიტორიაზე ჩამოვაღწიეთ. „სახალხო ზეიმი“ უკვე დასრულებული იყო. თუმცა ხშირი ნისლის გამო დამსწრეებს დიდი ვერაფერი ეხილათ.

საღამოს, ახალი ნაგებობების გვერდით სპეციალურ სცენაზე „ვარსკვლავების“ კონცერტი გაიმართა. წვიმდა, იქვე მოწყობილი კარვებიდან 80-მდე ახალგაზრდა დაესწრო კონცერტს.

„ძალიან საამაყოა გმირი მამის საფლავთან ყოფნა“

ასე ფიქრობს საქართველოს ეროვნული გმირის, 2004 წელს ქართულ-ოსურ კონფლიქტის დროს დაღუპული ზაზა დამენიას ვაჟი გიორგი. 23 აგვისტოს, მამის დაბადების დღეს იგი დედასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად მივიდა მამის საფლავთან.

ამ დღეს ზაზა დამენიას საფლავთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, თანამშრომლები, ომის ვეტერანები მივიდნენ. ყვავილების გვირგვინით შეამკეს გმირის საფლავი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ზაზა დამენიას შვილს გიორგი დამენიას 100 ლარი გადასცა.

----------უფასო პოლიტიკური რეკლამა

კახა კუკავამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა

მარი კოკოევი

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ გურიაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. ჩოხატაურში – **გუბაზ მეგრელიძე,** ლანჩხუთში –**მინდია კეჭაყმაძე,** ოზურგეთში კი **კახა ბურჯალიანი** იბრძოლებენ მანდატის მოსაპოვებლად. კუკავას თქმით, პარტიის მთავარი მიზანია მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლა.

კუკავამ განაცხადა, რომ მოსალოდნელია არჩევნების ტოტალური გაყალბება, რაც მისივე თქმით, ქართველმა ხალხმა ქუჩის აქციებით უნდა გააპროტესტოს. – „მხოლოდ მასობრივი აქციებითაა შესაძლებელი ამ ხელისუფლების შეცვლა“– აღნიშნა მან.

შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დიდუბეში, დიმიტრი ლორთქიფანიძე. მან ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის მუშაობის შესახებ ისაუბრა. თქვა, რომ კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს და საქართველოში 3 600 600 ამომრჩეველი რეალურად არ არის.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრი და გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) პროექტი „სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება“ ერთობლივი პარტნიორობით ახორციელებენ სასწავლო პროგრამას საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლებას ატარებენ სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული ფასილიტატორები და ტრენერები. კურსები ძირითადად სასწავლო დაწესებულებების შენობებში იმართება.

დღევანდელი მდგომარეობით დასრულებულია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სწავლების კურსი და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სწავლების I ეტაპი.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სწავლების კურსის მომდევნო ორი ეტაპი 3-დან 9 სექტემბრამდე და 11-დან 27 სექტემბრამდე პერიოდებში განხორციელდება.

დეტალური ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლების შესახებ იხილეთ ბმულზე:

http://electionsreforms.ge/?page=news&id=303

შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში

ნუგზარ ოთარიშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დეპუტატებს და სოფლის ტერიტორიალური ორგანოს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ეს შეხვედრა ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრში გაიმართა. ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა რომან ლომაძემ მათი ასოციაციის განხორციელებულ პროექტებზე და მომავალ გეგმებზე ისაუბრა. ყველაზე მნიშვნელოვანი მან იაპონიის საელჩოს დახმარებით განხორციელებული პროექტი –კურორტ მაგნეტიტში ასოციაციის დასასვენებელი სახლის მშენებლობა დაასახელა. ოზურგეთის სარეაბილიტაციო ცენტრი გეგმავს სრულად მოიცვას შეზღუდული შესაძლებლობის პირთა მომსახურება და ამ მიზნით, მან სთხოვა სოფლის ტერიტორიალური ორგანოს წარმომადგენლებს, საკრებულოს დეპუტატებს მიაწოდონ ცენტრს ასეთ პირთა სია.

შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ცენტრის ბენეფიციარებმა მზევინარ ლურსმანაშვილმა და თამუნა შავაძემ

თამუნა შავაძის აზრით, საჭიროა ხელისუფლება მეტად დაინტერესდეს თითოეული ბენეფიციარის პრობლემით და შეზღუდული შესაძლებლობის პირს გუბერნატორთან ან სხვა ხელმძღვანელთან შეხვედრაზე უარს არ უნდა ეუბნებოდნენ.

მხიარული ზაფხული

მეორე წელია ოზურგეთის №5 საჯარო სკოლასთან (დირექტორი მერი საბაშვილი) არსებული ზაფხულის სკოლა ბავშვებს მხიარულ ზაფხულს ჩუქნის. აქ ერთმანეთს დაუმეგობრდა 33 მოსწავლე და 5 სტუდენტი. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა უმასპინძლეს ბავშვებს რაიონის სხვადასხვა სკოლებიდან, ასევე სტუმრებს თბილისიდან, ბათუმიდან, ხაშურიდან და ზესტაფონიდან. პატარებმა ადვილად გამონახეს საერთო ენა და ხალისით ჩაერთნენ იმ პროგრამაში, რაც პროექტის ფარგლებში განხორციელდა. სტუდენტები: ფატი სალუქვაძე, მარიამ ნადირაშვილი, ანანო სირაძე, ლევან ესაძე და მამუკა ჩხარტიშვილი, რომლებიც სტუდენტური დასაქმების პროგრამაში იყვნენ ჩართულნი და შრომით საქმიანობას ჩვენს სკოლაში ახორციელებდნენ, სიამოვნებით კისრულობდნენ ლიდერის ფუნქციას და გუნდებს ღონისძიების მომზადებაში ეხმარებოდნენ. ზაფხულის სკოლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: ოზურგეთის კულტურის პარკის დირექტორმა ბატონმა ავთანდილ სირბილაშვილმა, უბნის ინსპექტორებმა: ირმა სიორიძემ და მაია ოთხმეზურმა. მადლობას ვუხდით მათ თანადგომისთვის.

სასურველია, ყველა სკოლას ჰქონდეს ფინანსები, რათა შესაძლებლობა მიეცეთ ბავშვებს, რომელთაც საშუალება არ აქვთ ზაფხულის არდადეგები რომელიმე კურორტზე, აქტიურად, შინაარსიანად და საინტერესოდ გაატარონ დრო ზაფხულის სკოლაში.

ქეთევან ქადიეშვილი
დირექტორის მოადგილე

„არ გიცნობთ, მაგრამ გვიყვარხართ!“ — სიტყვები ცასთან ახლოს, და... „ყველაზე მაგარი საღამო ბახმაროში“

ნინო ნიკოლაიშვილი

ბინდი თანდათან მოეძალა ცას. ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერი კონცერტის ხმაურიანი მუსიკის ექოსაც აღარ აბრუნებდნენ მთები. ბუნებამ დასძალა პოლიტიკას და დააცხრო ადამიანთა აგრესია, აღტყინება, ცინიზმი, სიხარული თუ პირველობის ჟინი. მან აქ არც პირველობა დაუთმო არავის და მშვენიერების საუფლოში მიიწვია ჩვეულებრივი მოკვდავნი. ნისლი მიწიერისა და ზეციერის კავშირად მიმოეფინა ირგვლივ. მკრთალად მანათობელი ვარსკვლავები კოცონიდან აფრქვეულ ნაპერწკლებს ეჯიბრებოდნენ თითქოს. ცეცხლის ალი ცდილობდა ნისლის თხელი კალთა გაერღვია, მაღლა დაევანა, სიცივე დაეჯაბნა. აქ აღარავინ თამაშობდა. გულწრფელი იყო სიტყვები და თავად ღიმილიც.

– „ჩვენ არავითარ პოლიტიკურ ძალას არ ვექვემდებარებით, დავდივართ ქალაქიდან ქალაქში. დღეს აქ შევიკრიბეთ, ეს იქნება ყველაზე მაგარი საღამო ბახმაროში, არ გიცნობთ, მაგრამ გვიყვარხართ!“ – ასე მიმართა ბახმაროში კოცონთან შეკრებილთ პოეტმა ზურა სალუქვაძემ. მერე საკუთარი ლექსები წაიკითხა. –„...რა ადვილია, რომ ვიყოთ, უბრალოდ კეთილშობილნი...“, „...უსიყვარულოდ ცხოვრება ნეტავ ვის რაში გვჭირდება...“, „იცით? ბედნიერება არჩევანის ქონაა“; „მომეცით ფერადი ფანქრები, ცხოვრება ბავშვურად უნდა გავფერადო...“

„...მე რომ ხატვა შემეძლოს,
ფუნჯებს კონად შეკვრიდი,
შევხედავდი სამყაროს,
ილუზიას შეკმნიდი,
სითბოს ფერში სიკეთის
თბილი სიტყვის გამოთქმის,
თვალდახუჭულ ფიქრში, ხელს
დავხატავდი გამოწვდილს.
ავურეკდი მზის სხივებს,
მელოდიის დინებას
დავხატავდი იმ ღიმილს,
გული რომ იღიმება.
ჩვენ ადამიანების
შეგვრჩენია იერი,
დავხატავდი მშიერს რომ
ლუკმას უყოფს მშიერი.
დავხატავდი ღვთის თვალებს
მაშინ, როცა აუწყეს,
რომ ცოდვილმა შვილებმა
ცდუნებებს რომ გაუძლეს...“

საკუთარი ლექსები წაიკითხეს ზურას მეგობრებმა მიშა ტყებუჩავამ - ფსევდონიმით მებაღე; გაგა გომართელმა, ირაკლი ასლანიკაშვილმა,– „სულს სხივი თუ დაუმალეს, ის მზეს მოიპარავს“; „როცა ქალი არსად ჩანდა, სილამაზე ქრებოდა“; „მოჩანდა დედა ღვთისმშობელი, მდუმარედ მდგომი“; „დღეს ყოველი მეორე პირველს ჩასფრებია...“; „ვაზი ბევრსა აქვს, მაგრამ იცოდეთ, ქვევრი და ჭური მხოლოდ ჩვენშია...“; ჩვენ გადავრჩებით მგზავრო რადგანაც, ჩვენ ღმერთში ვართ და ღმერთი ჩვენშია“.

ისმოდა ეს სიტყვები, სიხარულით, სინანულით, სევდით, სიყვარულით ნათქვამი. სიტყვის სილამაზე და ხელოვნება შეეთანაწყო ბუნების სამშვენისს. ლექსმა იზეიმა. ახალგაზრდებმა პოეზიის საღამოზე მიიწვიეს ხათუნა ჭეიშვილი, რომელიც თავისი ლექსებით შეუერთდა სიტყვის ამ მშვენიერ დღესასწაულს და რომელსაც გამოსვლის შემდეგ სთხოვა ზურა სალუქვაძემ აუცილებლად გამოეცა ლექსების კრებული:

–„კოკისპირული რაღაა...
გარეთ წვიმს ქვევრისპირულად,
თავშესაფარი სადაა,
სტრიქონებს ვრითმავ გმირულად,
წაიღო, წყალმა წაიღო,
სათქმელი ერთი ლექსითა,
ღვარმა კენჭივით გაიგდო,
სიტყვა ნაგროვი პეშვითა...
რა მალე გადაიდარა,
თითქოს არც წვიმდა საერთოდ,
ქარი შავ ღრუბლებს იპარავს,
ცად ვარსკვლავები აენთო...
მინც განვიცდი, თუმცაღა,
გარეთ საშური დარია,
მე იმ წყალგანატაცები
ლექსის სიცოდვემ დამლია.“

იმავე საღამოს გაიყიდა ზურა სალუქვაძის მეორე კრებული „ბედნიერება = არჩევანს“

პოეზიის საღამო ბახმაროში მოეწყო ახალგაზრდების ჯგუფის მიერ,ესენი არიან: გაბო მაღლაფერიძე, რობი ბაქანიძე, თამო ბუხუნიშვილი. მათ აქვთ თავიანთი ვებ-გვერდი **baxmaro.com** .

გაბო მაღლაფერიძე: – ზურა სალუქვაძე მეგობრებთან ერთად მართავს საღამოებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ჩვენ შევთავაზეთ პოეზიის საღამო ბახმაროში ჩაგვეტარებინა. ისინიც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. გამგეობამ შემოგვთავაზა ნაციონალთა მხარდასაჭერ ღონისძიებაზე გამოვსულიყავით,მაგრამ არ დავთანხმდით, რადგან არ ვლებულობთ პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობას.

23 აგვისტოს ოზურგეთის კულტურის სამსახურის ორგანიზებით თეატრში ჩატარდა ზურა სალუქვაძის, ირაკლი ასლანიკაშვილის, მიშა ტყებუჩავას (მებაღე), ლაშა ცელაძის, ფიქრია ჭელიძისა და გიორგი ვაშალომიძის პოეზიის საღამო.

მერაბ ვასაძე „გლობალ ტვ“-ის ანტენის გამო მაკვანეთის საამქროში თანამშრომლის გათავისუფლებას უარყოფს

გაზეთი „ალიონი“

გაზეთ „ალიონის“ 16 აგვისტოს, №30-ში დაბეჭდილ წერილში– „გლობალ ტვ“-ს სატელიტური ანტენის დადგმის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს“–მოყვანილ ფაქტს მაკვანეთის საკონდიტრო საწარმოს დამლაგებლის, ლილი ცხომელიძე-გოგიჩაევას „გლობალ ტვ“-ს ანტენის დადგმის გამო გათავისუფლების შესახებ უარყოფს.

–„მაკვანეთის საკონდიტრო საწარმოში მომუშავე რამდენიმე თანამშრომელს აქვს დადგმული „გლობალ ტვ“-ს ანტენა. არავისთვის არავის საყვედურიც კი არ უთქვამს. ჩვენი ბიზნესი შორს არის პოლიტიკისაგან.

საწარმოში ანაზღაურებაც კარგია და შესასრულებელ სამუშაოზე მოთხოვნილებაც შესაბამისი. ლილი გოგიჩევას უჭირდა დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რამაც გამოიწვია მასთან შრომითი ხელშეკრულების დარღვევა.“–სატელეფონო საუბარში გვითხრა შპს „ვასაძის პურის“ დირექტორმა მერაბ ვასაძემ.

სოფ. მაკვანეთში, საკონდიტრო საამქროში სტუმრობისას, გურიაში, სოფლად ასეთი საწარმოს გახსნის პრეცედენტი სათანადოდ შეაფასა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

მაკვანეთის საკონდიტრო საამქროს გურიის სინამდვილეში იშვიათი გამონაკლისი უწოდა სოფელში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე მისულმა კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზვიად კვაჭანტირაძემ.

შეგახსენებთ, მაკვანეთის საკონდიტრო საწარმო წელს, გაზაფხულზე გაიხსნა, რომელიც ათეულობით დასახელების საკონდიტრო ნაწარმს უშვებს და აქ 50-მდე მუშახელია დასაქმებული.

ბანკი „კრისტალი“ ახალ ოფისში გადავიდა

თემურ ბაქანიძე

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ბანკი „კრისტალი“ ახალ ოფისში, ქ ოზურგეთში, აპ. წულაძის ქუჩაზე (ყოფილი პოლიციის შენობა) მოემსახურება მომხმარებელს.

გასულ თვეში აქ ახალი ოფისის პრეზენტაცია მოეწყო. საზეიმო ვითარებაში ლენტიც გაჭრეს.

„კრისტალი“ მიკროსესხებს იძლევა 50 000 ლარამდე. აქ მთავარი კლიენტზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტური მომსახურებაა. აქვთ გადახდის მოქნილი გრაფიკი. სხვა მიკროსალაროებისაგან განსხვავებით კრისტალს ოზურგეთში აქვს სალარო.

გაზეთ „ალიონი“ „კრისტალის“ სტაჟიან კლიენტს, ინდმეწარმე რუსუდან კუპრაძეს ესაუბრა:– ოზურგეთში დღიდან დაარსებისა ამ ბანკის კლიენტი ვარ. ურთიერთობები, ნდობის ფაქტორი თანდათან ჩამოყალიბდა. მინდა ვთქვა, რომ მათი სახით ჩემს ბიზნესს სერიოზული პარტნიორი ჰყავს. ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება.

სერვის-ცენტრის მეჯეჯერის მირანდა ლომაძის თქმით სამომავლოდ იგეგმება საპროცენტო განაკვეთის შემცირება.

ვულოცავთ

სახელი ზემფირა, ჩვენთვის ასოცირდება, როგორც სახელი ადამიანისა, რომელიც სავსეა სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით, რაც ასე საძებნელია დღეს ადამიანებში. ზემფირა – პრინციპული, მაგრამ თავმდაბალი; ზემფირა – მკაცრი, მაგრამ სამართლიანი; ზემფირა – მწვერვალი ნიჭიერებისა, შესანიშნავი მცოდნე თავისი საქმისა – ლაბორატორიული კლინიკისა, მაღალი დონის ექიმი-ლაბორანტი; ზემფირა – ღიმილიანი, მაგრამ სევდიანი, უდროოდ წასულ მეუღლეზე ფიქრით.

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს და დიდი ღვაწლის უსასრულობამდე შენარჩუნებას, ოჯახისათვის, ჩვენს სამკურნალო ცენტრ „ძლევაი“ მოღვაწე მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის.

მეგობრები.

13 წლის მიშიკო ახვლედიანს ჩვენი თანადგომა სჭირდება

გაზეთ „ალიონის“ 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „უფლის სასწაული“.. რომელშიც საუბარი იყო 13 წლის მიშიკო ახვლედიანზე. იგი ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარია. 22 ივლისს წყალში ჩაძირული იპოვეს..ბიჭუნა ამჟამად თბილისში, ჟვანიას სახელობის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში აპარატზეა შეერთებული. ექიმები ყველაფერს აკეთებენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ მკურნალობა სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. მიშიკოს დასახმარებლად პროკრედიტ ბანკ საქართველოში გახსნილია ანგარიში, სადაც თქვენს მიერ გადარიცხული თითოეული ლარი მისი სიცოცხლის გადასარჩენად გადადგმული თითოეული ნაბიჯი იქნება.

ანგარიშის ნომერი:

GE41PC0533601200000037GEL

ბანკის კოდი:

MIBGGE22

სპორტული ფესტივალი „საქართველო 2012“

ოზურგეთში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ეგიდით სპორტული ფესტივალი ჩატარდა, სადაც 200-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

2 კილომეტრიან გარბენში, 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის პირველი ადგილი ოთარ მჟავიამ დაიკავა, ხოლო 18 წელს ზევით ქალთა შორის პირველობა მარინე კოტრიკაძემ არავის დაუთმო. ვაჟებში კი პირველი ნიკა კარტავცევი იყო. საპრიზო ფონდი 2400 ლარს შეადგენდა.

საქართველოს XXIV ჩემპიონატი ფეხბურთში დაიწყო

25 აგვისტოს სტარტი აიღო 2011-2012 წლებში საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა I ლიგის გუნდებს შორის, სადაც „ა“ და „ბ“ ზონაში 10-10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ოზურგეთის „მერცხალი“ „ა“ ზონაში იასპარეზებს, სადაც მასთან ერთად გამოვლენ: **„სამტრედია;“ „დინამო“(ბათუმი); „კოლხეთი“ (ხობი); „მეშახტე“(ტყიბული); „ჩხერიმელა“(ხარაგოული); „ჭიათურა;“ „ლოკომოტივი“(თბილისი); „მესხეთი“(ახალციხე);**

სტუ (თბილისი).

პირველ ეტაპზე გუნდები 18-18 თამაშს ჩაატარებენ. ზონებში გამარჯვებულ 2-2 გუნდს უმაღლეს ლიგაში გადასვლისათვის ბრძოლა ხსენებული ლიგის ბოლო 4 ადგილზე გასულ კლუბებთან მოუწევთ. დანარჩენი 16 გუნდი 8-8 გუნდიან ჯგუფებად დაიყოფიან. ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული ლიგას ავტომატურად დატოვებს, ხოლო მე-7 ადგილზე მყოფთ, პლეი ოფში II ლიგაში მეორე ადგილზე გასულ გუნდებთან მოუწევთ თამაში.

ოზურგეთის „მერცხალი“ პირველი ტურის მატჩში თბილისში სტუ-ს შეხვდა და გაიმარჯვა 3:2.

5 სექტემბრს, II ტურის მატში „მერცხალი“ „ზოოვეტს“

„მერცხალი“ – ბიუჯეტზე ჩამოკიდებული გუნდი?

შარშან, გაზეთ „ალიონის“ 12 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია „როცა გუნდიდან ამდენი კაცი ერთად მიდის, ეს მარტო ერთი ფეხბურთელის ბრალი არ შეიძლება იყოს,“ რომელიც საფეხბურთო კლუბ „მერცხალიდან“ ხუთი ფეხბურთელის წასვლის მიზეზებს ეხებოდა. სამწუხაროდ, ამ წერილს გუნდის ხელმძღვანელობის და სახელისუფლებო შტოს ზოგიერთი წარმოადგენლის არაერთგვაროვანი სიტყვიერი შეფასება მოჰყვა. თუმცა, „მერცხალის“ სტაჟიანი გულშემატკივრები რედაქციისაგან ითხოვდნენ, ჟურნალისტები მეტად დაინტერესებულიყვნენ საფეხბურთო თემით.

გასულ სეზონში „მერცხალმა“ წინა წელთან შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა და პლეი აუტში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, სადაც უმაღლესი ლიგის ბოლო ოთხ ადგილზე გასულ და I ლიგის ასევე ოთხ გუნდს შორის გამართულ ორწრიან ტურნირს უნდა გაერკვია ის ოთხი გუნდი, რომლებიც ახალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში იასპარეზებდა. „მერცხალმა“პლეი-აუტში ამ კლუბის ისტორიაში საოცარი „შედეგი“ აჩვენა. 14 მატში, მხოლოდ ... ერთი ქულის აღება შეძლოა (?!).

გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა გვთხოვა რედაქციაში შეხვედრის გამართვა. ამჯერად გთავაზობთ გელა სიამაშვილთან და ლავრო ტულუშთან გამართული საუბრის შინაარს:

გელა სიამაშვილი: – მაყურებელთა დიდმა ჯგუფმა გვთხოვა მათი გულისტკივილი გაგვეხმოვანებინა, ამიტომ მოვედით თქვენთან, „ალიონის“ რედაქციაში.

დავიწყოთ სტადიონ „მეგობრობით.“ მიუხედავად იმისა, სტადიონის დირექტორს 4 თუ 5 მოადგილე ჰყავს, ოზურგეთის სტადიონი უმძიმეს მდგომარეობაშია. იქ მისულ გულშემატკივარს სავალალო მდგომარეობა ხვდება. ე.წ. ლოჟა და მაყურებელთა ტრიბუნები 10 წლის წინ კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა გია მამაკაიშვილმა აღადგინა. დღეს საშინელ მდგომარეობაშია. მოსაწერიგებელია საშხაპე, ფეხბურთელთა საცხოვრებელი კორპუსი.

სტადიონის დირექტორს ჯონი კალანდაძეს საკმაო დამსახურება აქვს „მერცხალის“ წარმატებებში და არა მგონია ვერ შეძლოს სტადიონს ეპატროს, მაგრამ სტადიონის ბიუჯეტი არა რაიმეს გაკეთებაზე, არამედ გაბერილი ადმინისტრაციული შტატების შენახვაზეა გაწერილი. მსოფლიოში უდიდეს სტადიონ „მარაკანას“ დირექტორს არ ჰყავს იმდენი მოადგილე, რამდენიც ოზურგეთის „მეგობრობას.“

ანალოგიური სიტუაციაა თვით საფეხბურთო კლუბ „მერცხალში:“კლუბის პრეზიდენტი, გუნდის უფროსი, მთავარი მწვრთნელი, ორი მწვრთნელი და ა.შ. ამდენი შტატი თვით „მანჩესტერ იუნაიტედს“ არ ჰყავს. გუნდი გაცილებით მეტ თანხას ხარჯავს ფეხბურთელების სხვადასხვა ქალაქებში სათამაშოდ გადაყვანაზე, ვიდრე ერთი სატრანსპორტო საშუალების შეძენა ღირს...

ამბობენ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვზრდითო. 1996 წლის შემდეგ ოზურგეთის „მერცხალიდან“ არცერთ ასაკობრივ ჯგუფში „მერცხალის“ ფეხბურთელს ნათამაშევი არ აქვს. (გამონაკლისი ლაშა სალუქვაძეა). გია გოგუას და მიხეილ ქობულაძეს კი აქვს დამსახურება „მერცხალის“ წინაშე, მაგრამ რა უნდა ჰქნას 40 წელს მიახლოებულმა ან გადაცილებულმა ფეხბურთელმა?

ეს არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შენახული გუნდი. ამიტომ მიგვაჩნია, კლუბს მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდეს საზოგადოების წინაშე. კლუბის ხელმძღვანელები უახლოეს ხანში უნდა წარსდგნენ გულშემატკივრების წინაშე, მწვავე შეკითხვებსაც უნდა გასცენ პასუხი და სამომავლო გეგმებიც უნდა გააცნონ მათ. სამარცხვინოა, პლეი-ოფის 14 შეხვედრაში მოპოვებული ერთი ქულა. განა ჩემი აზრია, ყველა ამბობს, რომ ეს თამაშები გაიყიდა. თუ ეს ასეა, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს ამაზე! ამბობენ, გუნდში მისი „სასტავი“ ჰყავს ჩხატარაშვილს... იგი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს. ამის დასტური მისთვის ამ „დამსახურების“ შემდეგ ღირსების ორდენის გადაცემა იყო.

ლავრო ტულუში: – ოზურგეთის „მერცხალს“ყველაზე დიდი ისტორია აქვს გურიაში. ოზურგეთში საფეხბურთო კლუბი ჯერ კიდევ 1922 წელს არსებობდა. გავიხსენოთ ოზურგეთის მთავარი გუნდის („კოლმეურნე,“„სიხარული,“„მარცხალი“) წარმატებები საქართველოს თუ ყოფილი სსრ კავშირის პირველობებზე. გასული საუკუნის 60-იან წლებში 2-ჯერ აიღო საქართველოს თასი. შემდეგ 3-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, საკავშირო ლიგის გამარჯვებული და ა.შ.

ღმერთმა გაანათლოს ევგრაფი შევარდნაძის სული. მოჰკიდა ხელი ლანჩხუთის გუნდს და ხედავთ რამდენ წარმატებას მიაღწიეს. მთელი გურია აშენებდა ლანჩხუთის სტადიონს, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ? გურიის ფეხბურთის ფედერაცია რატომაა ლანხუთში...

გელა სიამაშვილი: – დაიწყეს ოზურგეთის სტადიონის რეკონსტრუქცია, მინდორი გაკეთდა, შემდეგ შეწყვიტეს და ტრიბუნები ხელუხლებელი დარჩა. იმძლავრა გურიის ფეხბურთის ფედერაციამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სახსრები გადაატანინა ლანჩხუთში „გურიას“ სტადიონის რეკონსტრუქციისათვის.

როცა ოზურგეთში სტადიონის რეკონსტრუქცია იგეგმებოდა, მაშინდელმა გამგებელმა გია ტაკიძემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამ საქმეში წილობრივი მონაწილეობა შესთავაზა. ერთად ვიყავით ზვიად სიჭინავასთან მე და გია ტაკიძე. სამწუხაროდ, მისი დაჭერის შემდეგ ასე შეიცვალა ყველაფერი...

„მერცხალში“ მოწვეული ფეხბურთელებიც თამაშობდნენ, მაგრამ ისინი ამინდს არ ქმნიდნენ, მთავარი მაინც ადგილობრივი ფეხბურთელებია. ტარდება დღეს რაიონის პირველობები (ხელოვნურ საფარიან მოედანზე ფეხბურთს არ ვგულისხმობ), სასკოლო პირველობები? ვიცი, კარგი შედეგები აქვს ბახველ გოჩა კრასოტკინს. ერთხელ თბილისში, „დინამოს“ უკან მოედანზე დავესწარი მათ შეხვედრას. ოზურგეთიდან, გარდა მწვრთნელისა, არავინ ახლდათ. დაჩაგრეს მსაჯებმა. შეხვედრის შემდეგ მსაჯებს ვუთხარი: –„ასეთი კარგი ფეხბურთელების დაჩაგვრა ქართული ფეხბურთის განვითარებას კარგ შედეგს არ მოუტანს“–მეთქი. სად იკარგებიან შემდეგ ასეთი კარგი ბავშვები? ან რატომ წავიდნენ შარშან „მერცხალიდან“ ფეხბურთელები ჩოხატაურის „ბახმაროში“? ხომ უნდა გათვალოს კლუბის ხელმძღვანელებამ ბიუჯეტი ისე, რომ ფეხბურთელსაც ნორმალური ხელფასი ჰქონდეს? გუნდმა წარმატებას რომ მიაღწიოს, ფეხბურთელს სათანადო მოტივაცია უნდა ჰქონდეს.

ახსოვთ კი ვეტერანი ფეხბურთელები? გასული საუკუნის 60-იანი წლების საუკეთესო მცველ გალორდი ზურაბაშვილს ქვედა კიდურები მოჭრეს. მისულა კი ვინმე ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან და ამბავი უკითხვას?

როცა „ბ“კლასში „მერცხალი“გადავიდა კოტე გოგატაძე იყო დირექტორი. იგი აკაკი მჟავანაძესთან ერთად დღედაღამ სტადიონის მშენებლობაზე იყო. იცით ალბათ, 50-იან წლებში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. ერთ-ერთ გასვლით შეხვედრისას მძიმე ტრავმა მიიღო კოტემ და ფეხბურთის თამაში ველარ შეძლო. ამ კაცს დიდი დამსახურება აქვს ოზურგეთის ფეხბურთის წინსვლაში. არ შეიძლება, დაარქვან მისი სახელი სტადიონს? ეს იმ დიდი კაცის დაფასება იქნებოდა.

ჩვენ არ ვართ არავისი მტერი. გვინდა „მერცხალი“ უკეთესი შედეგებით უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს.

რედაქციისაგან:

მიგვაჩნია, რომ ჩვენს რესპონდენტებს სათანადო არგუმენტები გააჩნიათ კრიტიკისათვის. დიდი ხანია არ შემდგარა საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ხელმძღვანელების შეხვედრა გულშემატკივრებთან.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მზადაა დაუთმოს საგაზეთო ფართი და სათანადო არგუმენტების მოშველიებით გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხარიტონ ჩხატარაშვილმა პასუხები გასცეს გულშემატკივართა მიერ გაჟღერებულ შეკითხვებს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru